ქუთაისის
უნივერსიტეტი

დამტკიცებულია შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“
რექტორის 22/04/2019წ. №322 ბრძანებით
შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორი
ლელა ქელბაქიანი:

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ სტუდენტთა ეთიკის კოდექსი

ქუთაისი, 2019 წელი.

ეთიკისა და ქცევის წესები და მათ დარღვევებზე რეაგირების პროცედურები

1. სტუდენტთა ეთიკის კოდექსი 1

შინაარსი

თავი I. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტთა ეთიკის კოდექსის საფუძვლები და რეგულირების სფერო 2

თავი II. სტუდენტის ვალდებულებები, დისციპლინური წარმოება, სტუდენტის უფლებები. 3

თავი III. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი..... 8

3.1. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია ყველა სტუდენტს და თანამშრომელს.**Error! Bookmark not defined.**

თავი IV. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების წესი..... 10

თავი V. პლაგიატი. დისციპლინური წარმოების თავისებურება პლაგიატის ფაქტთან დაკავშირებით 13

თავი VI. დისციპლინური სახდელის განსაზღვრის მნიშვნელოვანი საკითხები..... 15

თავიVII. დასკვნითი დებულებები..... 16

თავი VIII. დასკვნითი დებულებები ……19

თავი I. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტთა ეთიკის კოდექსის საფუძვლები და რეგულირების სფერო

1.1. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტთა ეთიკის კოდექსის (შემდგომში - „კოდექსი“) მიზანია, დაარეგულიროს შპს ქუთაისის უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) სტუდენტებისა და მსმენელების ურთიერთობები ერთმანეთთან, უნივერსიტეტის პერსონალთან, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფ ადამიანებთან, სწავლის პერიოდში სწავლების პროცესში ჩართულ სხვა პირებთან კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ნორმათა დაცვით, უნივერსიტეტის ძირითად ღირებულებათა პრინციპების შესაბამისად.

1.2. კოდექსის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კანონმდებლობა, უნივერსიტეტის წესდება, შინაგანაწესი, აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხირციელების სახელმძღვანელო, სერტიფიცირებად საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებები, რექტორის ბრძანებები.

1.3. კოდექსის ეთიკური საფუძვლებია უნივერსიტეტის ძირითადი ღირებულებები:

ა) **მომხმარებლებზე ფოკუსირება** - შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, მაღალი ხარისხის აკადემიური და სერთიფიცირებული კურსების განხორციელება, მომხმარებლის მიზნებზე მორგებული მაღალკვალიფიციური საკონსულტაციო მომსახურების გაწევა და სტუდენტური სერვისების მრავალფეროვნება ზრდის ამ სერვისებით მომხმარებლის კმაყოფილების ხარისხს და ხელს უწყობს ლოიალური განწყობის ფორმირებას;

ბ) **თანაბარი შესაძლებლობები** - უნივერსიტეტი ყველა სტუდენტის, თანამშრომლის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის განურჩევლად ეროვნების, მრწამსის, სქესის, ფიზიკურიშესაძლებლობების, ქმნის თვითრეალიზების თანაბარ შესაძლებლობებს.

გ) **გამჭვირვალობა დასაჯაროობა** - უნივერსიტეტი არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე იყო და არის გამჭვირვალე თავისი საქმიანობის ყველა სფეროში: სასწავლო, სამეცნიერო, საფინანსო, საზოგადოებრივიდაა.შ.

დ)**მულტიკულტურული ღირებულებები** - უნივერისტეტში წახალისებული საგანანმანათლებლო დაკვლევითი საქმიანობის, კულტურული, სპორტული და შემეცნებით-გასართობი ღონისძიებების მრავალფეროვნება, ინტერკულტურული კავშირები და ინტეგრაცია როგორც საზოგადოებრივი ღირებულებების შექმნის საფუძველი;

ე) **აკადემიური თავისუფლება** - უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამეცნიერო / აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის აკადემიური საქმიანობისარჩევანის და განხორციელები სთავისუფლებას;

ვ) **სოციალური პასუხისმგებლობა** - უნივერსიტეტი აცნობიერებს და აღიარებს მის წილ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე ყველა დაინტერესებული მხარის მიმართ ;

ზ) **აკადემიური კეთილსინდისიერება** - კეთილსინდისიერება და მაღალი ეთიკური სტანდარტები განსაზღვრავს ყველა იმ აქტივობას, რასაც ახორციელებს უნივერსიტეტი თავისი საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივი მისიის შესრულებისას; სწავლა-სწავლების და კვლევის პროცესში ამ ღირებულების დაცვას უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პლაგიატის აღმოჩენის და რეაგირების სისტემის მეშვეობით;

თ) **ურთიერთპატივისცემა და გუნდური სულისკვეთება** - უნივერსიტეტი ისწრაფვის განავითაროს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გრძელვადიანი, ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ჰარმონიული თანამშრომლობა.

ი) **ხარისხი და განვითარებისკენ სწრაფვა** - უნივერსიტეტი პროაქტიურად აფასებს საკუთარი საქმიანობის შედეგებს როგორც სწავლა-სწავლებისა და კვლევის, ასევე ადმინისტრაციული მართვის სფეროში, ეძებს ხარვეზების გამომწვევმი ზეზებს და ზრუნავს მათ აღმოფხვრაზე

1.4. კოდექსი განსაზღვრავს სტუდენტის დაუშვებელ ქცევებს და პასუხიმგებლობის ზომებს ასეთი ქცევებისათვის.

1.5. ნებიმიერი სტუდენტი, უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ვალდებულია მოქმედებდეს ისე, რომ მისი ქმედება არ იყოს დაუშვებელი ქცევა, დადგენილი ამ კოდექსით.

1.6. სტუდენტის ქცევა, რომელიც კოდექსის მიხედვით კვალიფიცირდება დაუშვებლად, არის ეთიკის ნორმების დარღვევა.

1.7. ეთიკის ნორმების დარღვევისათვის სტუდენტს შეეფარდება დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა ამ კოდექსით დადგენილი წესით.

1.8. ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტი დასტურდება და დამრღვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა შეეფარდება დისციპლინური დიციპლინური წარმოების პროცესით. დისციპლინური წარმოება ხორციელდება უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და ამ კოდექსით დადგენილი წესებით.

1.9. თუ სტუდენტი იმავდროულად უნივერსიტეტის თანამშრომელიცაა, მისი მხრიდან ეთიკის ნორმების დარღვევა დასტურდება დისციპლინური წარმოების პროცესში შინაგანაწესით დადგენილი წესით მის, როგორც თანამშრომლის მიმართ. ასეთი დარღვევის შემთხვევაში, თუ თანამშრომლისა და სტუდენტისათვის შინაგანაწესით დადგენილია დისციპლინური პასუხისმგებლობის სხვადასხვა ზომა, დამრღვევს შეეფარდება ორივე მათგანი - როგორც თანამშრომელს და როგორც სტუდენტს. თუ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები ერთნაირია, დამრღვევს, როგორც სტუდენტს, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა შეეფარდება ამ კოდექსით დადგენილი წესით და გადაწყვეტილება აისახება მისი, როგორც თანამშრომლის პირად საქმეშიც.

1.10. კოდექსის მიზნებისათვის ტერმინში „სტუდენტი“ იგულისხმება როგორც უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, ასევე უნივერსიტეტის ნებისმიერი სერტიფიცირებადი საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელი.

თავი II. სტუდენტის ვალდებულებები, დისციპლინური წარმოება, სტუდენტის უფლებები.

2.1. **უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში სტუდენტი ვალდებულია:**

ა) ისწავლოს/გაიაროს ყველა ის კომპონენტი, რომელიც გათვალისწინებულია აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით და რომლის სწავლა/გავლა სავალდებულოა ან/და მან თვითონ აირჩია ამ „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სახელმძღვანელოს“ პირობებით;

ბ) დაიცვას უნივერსიტეტის წესდებისა და ამ კოდექსის ნორმები;

გ) შეასრულოს ვალდებულებები, რომლებიც მას ეკისრება რექტორის ან/და დეკანის ბრძანებებით;

დ) შეასრულოს სწავლება-სწავლის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მათ შორის დროულად გადაიხადოს სწავლის საფასური;

ე) აუნაზღაუროს უნივერსიტეტს თავისი ქმედებით მიყენებული ზიანი ამ კოდექსით განსაზღვრული წესით.

2.2. სტუდენტი ვალდებულია, განუხრელად დაიცვას „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტთა ეთიკის კოდექსით“ (შემდგომში - „ეთიკის კოდექსი“) დადგენილი მოთხოვნები ქცევის წესებთან დაკავშირებით.

2.3. ეთიკის კოდექსს (მის ცვლილებებს) ამზადებს რექტორი სტუდენტურ თვითმმართველობასა და ფაკულტეტის საბჭოსთან კონსულტაციებით და ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

2.4. სტუდენტის ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს სტუდენტის დაუშვებელ ქცევებს და პასუხიმგებლობის ზომებს ასეთი ქცევებისათვის.

2.5. **ქცევები, რომლისთვისაც სტუდენტის ეთიკის კოდექსით შეიძლება დადგეს სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობა, არის:**

ა) აკადემიური თაღლითობა - გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან ან გადასაწერად ნებისმიერი სახის წინასწარ მომზადებული ისეთი დამხმარე მასალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რომლებიც არაა ნებადართული;

ბ) პლაგიატი - სხვისი ნამუშევრის სრულად ან ნაწილობრივ გადაწერა ავტორისა და წყაროს მითითების გარეშე, სხვა პირის წერილობითი აკადემიური ნაშრომის ან მისი ნაწილის საკუთრად გასაღება;

გ) სხვა სტუდენტისათვის ხელის შეშლა – სწავლისა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით, სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა;

დ) სხვა სტუდენტისათვის აკადემიური თაღლითობის ჩადენაში – ხელის შეწყობა;

ე) კვლევითი სამუშაოების მონაცემებისა და შედეგების – გაყალბება;

ვ) ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების – ჯგუფურ ნამუშევრად გასაღება;

ზ) სხვა პირთან გარიგება – იდენტობის გაყალბების საშუალებით გამოცდის ჩაბარების მიზნით;

თ) საგამოცდო მასალების, მათ შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის – მოპოვება, გავრცელება, ასევე ჩაბარებული წერილობითი ნამუშევრის უნებართვოდ ჩანაცვლება;

ი) სტუდენტის აკადემიური და ადმინისტრაციული საუნივერსიტეტო მონაცემების –გაყალბება ან/და გაყალბებული მონაცემების გამოყენება;

კ) ლექტორზე, გამომცდელზე, უნივერსიტეტის თანამშრომელზე – ზეწოლა შეფასების მიღების მიზნით;

ლ) უნივერსიტეტში წარსადგენი დოკუმენტის – გაყალბება ან დოკუმენტების არასრულად წარდგენა;

მ) ხელის შეშლა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის;

ნ) თამბაქოს მოწევა – უნივერსიტეტის შენობაში ან საამისოდ ნებადართული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;

ო) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე – ალკოჰოლური სასმელების შეტანა, გავრცელება ან/და მოხმარება, თუ ღონისძიება სპეციალურად არ არის ორგანიზებული ან ნებადართული რექტორის მიერ;

პ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე – აზარტული თამაშების ორგანიზება და/ან მათში მონაწილეობა;

ჟ) უნივერსიტეტის ქონების – დაკარგვა ან/და დაზიანება;

რ) უნივერსიტეტის ტერიტორიის – დანაგვიანება;

ს) ბილწსიტყვაობა – უნივერსიტეტის ტერიტორიაზე;

ტ) სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება – სხვა პირისათვის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე;

უ) სხვა პირის მიმართ – ძალადობა ან მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება;

ფ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე – ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების შეტანა;

ღ) ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების – გავრცელება ან/და გამოყენება;

ყ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე – „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ცეცხლსასროლი/ცივი იარაღის შეტანა, გამოყენება, სხვისთვის გადაცემა;

შ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე – ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შეტანა, გამოყენება, გავრცელება ან სხვისთვის გადაცემა, რომლებიც ხანძრის ან/და აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის;

ჩ) სხვა პირზე – ფსიქოლოგიური ზეწოლა, მუქარა, დაშინება ან მორალური ზემოქმედება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ან, თუ სხვა პირი საზოგადოების თანამშრომელი ან უნივერსიტეტის სტუდენტია, უნივერსიტეტის ტერიტორიის გარეთ;

ც) სხვა პირის დისკრიმინაცია - პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას ან/და პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, რწმენის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, პოლიტიკური გაერთიანების წევრობის, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, კულტურული კუთვნილების, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ცხოვრების წესის, დაბადების ადგილის, ასაკის ან ნებისმიერი სხვა ნიშნის საფუძველზე;

ძ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე – სხვა პირის საკუთრების ხელყოფა, დაზიანება ან განადგურება;

წ) სხვა სტუდენტის – საკუთრების უფლების რაიმე სახით შეზღუდვა, მათ შორის, ნივთის დაუფლება და ფაქტობრივი ფლობა მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, ნივთის მოტყუებით

გამორთმევა ან გამოძალვა ან ნივთის ბედის სხვაგვარი გადაწყვეტა, ასევე ზემოაღნიშნულ ქმედებათა მცდელობა, მათ შორის, ჩადენილი მოტყუებით ან მუქარით.

2.6. ამ თავის 2.5 პუნქტით გათვალისწინებული ქცევებისათვის ეთიკის კოდექსით **დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად შეიძლება განისაზღვროს ერთი ან რამოდენიმე ერთობლივად ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:**

ა) წერილობითი გაფრთხილება – რექტორის მიერ;

ბ) გამოცდის ან წერილობითი ნაშრომის შეფასების გაუქმება;

გ) სტუდენტის სტატუსის შეჩერება 2 წლამდე ვადით;

დ) უნივერსიტეტის მიერ დანიშნული სტიპენდიის გადახდის შეწყვეტა;

ე) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

2.7. გადაწყვეტილება სტუდენტისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე და პასუხისმგებლობის ზომის დადგენაზე მიიღება დისციპლინური წარმოების პროცესში.

2.8**. დისციპლინური წარმოება** იწყება რექტორის შესაბამისი ბრძანებით, რომლის საფუძველიც შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს, სხვა სტუდენტის/მსმენელის შეტყობინება, ან უნივერსიტეტის ნებისმიერი თანამშრომლის მოხსენებითი ბარათი სტუდენტის მიერ ქცევის ნორმების დარღვევის თაობაზე.

2.9. თუ სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია მისი ერთი ან რამოდენიმე ქმედება, გათვალისწინებული ამ თავის 2.5 პუნქტის „ჩ“-„წ“ ქვეპუნქტებით, რექტორი უფლებამოსილია, ამავე ბრძანებით შეუჩეროს მას სტუდენტის სტატუსი (შეუზღუდოს სასწავლო პროცესში მონაწილეობის უფლება) და აუკრძალოს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ყოფნა რექტორის სპეციალური ნებართვის გარეშე დისციპლინური წარმოების დასრულებამდე.

2.10. დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს სტუდენტთა სადისციპლინო კომისია.

2.11. სტუდენტთა სადისციპლინო კომისიაში შედიან მუდმივი და დროებითი წევრები.

2.12. სტუდენტთა სადისციპლინო კომისიის მუდმივი წევრებია დეკანი, სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ხელმძღვანელები და სტუდენტთა 2 წარმომადგენელი. დროებითი წევრია იმ პროგრამის კომიტეტის თავმჯდომარე, რომლითაც სწავლობს სტუდენტი. კომისიის თავმჯდომარეა დეკანი.

2.13. სტუდენტთა სადისციპლინო კომისიაში სტუდენტების წარმომადგენელთა არჩევის წესი და უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით.

2.14. თუ დისციპლინური წარმოების ობიექტია კომისიის წევრი სტუდენტი, მისი, როგორც კომისიის წევრის, უფლებამოსილება შეჩერდება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დასრულებამდე.

2.15. სტუდენტთა სადისციპლინო კომისიის პირველ სხდომას იწვევს რექტორი ბრძანებით. სტუდენტთა სადისციპლინო კომისიამ დისციპლინური წარმოება უნდა დაასრულოს რექტორის ამ ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან 2 კვირის ვადაში. თუ დისციპლინური

წარმოება ვერ დასრულდება ერთ სხდომაზე, მომდევნო სხდომის გამართვის დროსა და ადგილს განსაზღვრავს თვითონ კომისია მიმდინარე სხდომის დასრულებამდე.

2.16. სტუდენტს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური წარმოება, უფლება აქვს, დაესწროს სტუდენტთა სადისციპლინო კომისიის ყველა სხდომას.

2.17. თუ ამას მოითხოვოს სტუდენტი, რომლის მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური წარმოება, მისი საკითხი სტუდენტთა სადისციპლინო კომისიამ უნდა განიხილოს საჯარო სხდომაზე. საჯარო სხდომის ჩატარების დროსა და ადგილს ბრძანებით განსაზღვრავს რექტორი სხდომის გამართვის დღემდე, სულ ცოტა, ერთი კვირით ადრე. ბრძანების გამოცემისთანავე ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური მის დამოწმებულ ასლებს გადასცემს დეკანის ოფისსა და დაუყოვნებლივ აქვეყნებს ამ ასლებს, შესაბამისად, საინფორმაციო დაფაზე უნივერსიტეტის შენობაში და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

2.18. სტუდენტთა სადისციპლინო კომისიის საჯარო სხდომის გამართვას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური. პირმა, რომელსაც სურს, დაესწროს კომისიის საჯარო სხდომას, წერილობით უნდა მიმართოს დეკანს სხდომის გამართვის წინა სამუშაო დღემდე.

2.19. სტუდენტთა სადისციპლინო კომისია უფლებამოსილია, გამოჰკითხოს უნივერსიტეტის თანამშრომლები და სტუდენტები დისციპლინური წარმოების საკითხთან დაკავშირებით. თანამშრომლები და სტუდენტები ვალდებული არიან, მიაწოდონ კომისიას ობიექტური და უტყუარი ინფორმაცია, აგრეთვე - მათ ხელთ არსებული სხვა მტკიცებულებები, რომლებითაც შეიძლება დადგინდეს განსახილველი შემთხვევის გარემოებები. კომისია უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით თვითონ მოიპოვოს ინფორმაცია, საბუთები და სხვა მტკიცებულებები განსახილველ შემთხვევასთან დაკავშირებით. კომისიის მიერ მიღებული და მოპოვებული მთელი ინფორმაცია კონფიდენციალურია და წარმოადგენს დისციპლინური წარმოების ობიექტის პერსონალურ მონაცემებს. მათი გასაჯაროება დასაშვებია მხოლოდ დისციპლინური წარმოების ობიექტის თანხმობით.

2.20. კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ სხდომის მუშაობაში მონაწილეობს თავმჯდომარე და კომისიის სხვა წევრთა უმრავლესობა. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, სხდომის მუშაობაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით. კენჭისყრისას სხდომის მუშაობაში მონაწილე ყველა წევრს ერთი ხმა აქვს. სხდომის მუშაობაში მონაწილეს არ აქვს უფლება, უარი თქვას კენჭისყრაში მონაწილეობაზე ან თავი შეიკავოს კენჭისყრისას თავისი პოზიციის დაფიქსირებისაგან. თუ კენჭისყრისას ხმები თანაბრად გაიყოფა, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

2.21. კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება სტუდენტისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომის შეფარდებაზე მხოლოდ ეთიკის კოდექსის დებულებათა დაცვით.

2.22. კომისიის სხდომების ოქმებს აწარმოებს და ინახავს სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური. ოქმი უნდა შედგეს სხდომის დასრულებისთანავე. ოქმს ხელს აწერს სხდომის მონაწილე კომისიის ყველა წევრი. სხდომის მონაწილე კომისიის წევრს,

რომელიც კენჭისყრისას უმცირესობაში დარჩა, შეუძლია, ოქმს დაურთოს თავისი განსაკუთრებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები, რომლებიც ოქმის შემადგენელი ნაწილი ხდება. ოქმები ინახება სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურში, რომელიც ოქმის შედგენისთანავე მის დამოწმებულ ასლს წარუდგენს რექტორს.

2.23. მის მიმართ **დისციპლინური წარმოების პროცესში სტუდენტს უფლება აქვს:**

ა) მიიღოს რექტორის ამ თავის 2.8 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების დამოწმებული ასლი;

ბ) დაესწროს სტუდენტთა სადისციპლინო კომისიის სხდომებს, რომლებზეც განიხილება მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

გ) მიაწოდოს სტუდენტთა სადისციპლინო კომისიას მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

დ) მონაწილეობა მიიღოს სტუდენტთა სადისციპლინო კომისიის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;

ე) მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვა სადისციპლინო კომისიის საჯარო სხდომაზე.

2.24. დისციპლინური წარმოების დასრულების შემდეგ რექტორი, სტუდენტთა სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, გამოსცემს ბრძანებას სტუდენტისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესაბამისი ზომის შეფარდების ან დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ. ბრძანების გამოცემისთანავე მის დამოწმებულ ასლს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური გადასცემს დეკანს, რომელიც, თავის მხრივ, მომდევნო სამუშაო დღეს გადასცემს (გააცნობს) მას სტუდენტს. ამ დღიდან 30 დღის განმავლობაში ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

2.25. თუ რექტორის ამ თავის 2.8 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად არ შეეფარდა სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა, გათვალისწინებული, შესაბამისად, ამ თავის 2.6 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით, რექტორი ბრძანებით დაუყოვნებლივ აღუდგენს მას სტუდენტის სტატუსს.

2.26. თუ სტუდენტის ამ თავის 2.5 პუნქტით გათვალისწინებული ქმედებით, რომელიც დისციპლინური წარმოების საფუძველი გახდა, უნივერსიტეტს მიადგა ფულადი ან მატერიალური ზიანი, სტუდენტი (მისი კანონიერი წარმომადგენელი) ვალდებულია, აანაზღაუროს ეს ზიანი. ზიანის ანაზღაურება არ ათავისუფლებს სტუდენტს დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან.

თავი III. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

3.1. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია ყველა სტუდენტს და თანამშრომელს.

3.2. გარეშე პირებს ფონდით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ საბიბლიოთეკო სივრცეში.

3.3. ბიბლიოთეკით სარგებლობისათვის აუცილებელია ბიბლიოთეკაში რეგისტრაციის გავლა, რისთვისაც წარდგენილ უნდა იქნეს პირადობის, ან სტუდენტის დამადასტურებელი მოწმობა და

შეივსოს მკითხველის ბარათი. აღნიშნულის შემდეგ დაინტერესებულ პირს შეუძლია ისარგებლოს ნებისმიერი სახის საბიბლიოთეკო მომსახურებით.

3.4. ბიბლიოთეკაში მოქმედებს სისტემური და ანბანური კატალოგის სისტემა, აგრეთვე ფუნქციონირებს ელექტრონული კატალოგი.ბ

3.5. საბიბლიოთეკო ერთეულით სარგებლობა შესაძლებელია როგორც სამკითხველო დარბაზში, ისე ხელზე გატანით, თუ საცავში ინახება არანაკლებ 2 ერთეულისა.

3.6. საბიბლიოთეკო ერთეულის ხელზე გატანის ერთი ვადა განისაზღვრება 10 სამუშაო დღით.

3.7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილებისა და დარღვევის შემთხვევაში ბიბლიოთეკის თანამშრომელი აძლევს მკითხველს სიტყვიერ გაფრთხილებას და ახალი საფონდო ერთეულის გატანის უფლება ეზღუდება დავალიანებაში მქონე სახელმძღვანელოს დაბრუნებამდე.

3.8. იმ შემთხვევაში თუ ხელზე გატანის ერთი ვადა არ არის საკმარისი - მკითხველს შეუძლია მიმართოს ბიბლიოთეკის თანამშრომელს ვადის გაგრძელების შესახებ.

3.9. ვადის გაგრძელება შესაძლებელია იმდენჯერ, ვიდრე ამ ერთეულზე ახალი მოთხოვნა დაფიქსირდება, მაგრამ ყოველი ვადის გაგრძელებისათვის აუცილებელია ბიბლიოთეკის თანამშრომელთან შეთანხმება.

3.10. ბიბლიოთეკის თანამშრომელი, რომელიც გასცემს ერთეულს დარბაზში სამუშაოდ ან ხელზე წასაღებად, ვალდებულია მკითხველთან ერთად შეამოწმოს ვარგისიანობა და მოითხოვოს ისეთივე მდგომარეობით დაბრუნება. შემოწმების პროცედურა უნდა განმეორდეს ერთეულის დაბრუნების დროს.

3.11. დაუშვებელია წიგნზე, პერიოდულ გამოცემაზე, ციფრულ მატარებელზე აღნიშვნების გაკეთება, გადაკეცვა, ფურცლის ამოხევა, დაზიანება (დახევა, გაჭუჭყიანება).

3.12. 3.9. პუნქტით გათვალისწინებული დარღვევების შემთხვევაში ბიბლიოთეკის თანამშრომელი ადგენს აქტს, ხოლო ბიბლიოთეკის გამგე განსაზღვრავს ფულადი სანქციის ოდენობას, იმის გათვალისწინებით თუ რა ოდენობის თანხაა საჭირო მისი აღდგენის ან ახლის შეძენისათვის. მკითხველი ვალდებულია გადაიხადოს დადგენილი საზღაური.

3.13. ერთეულის დაკარგვის შემთხვევაში ბიბლიოთეკის გამგის, თანამშრომლისა და მკითხველის მონაწილეობით უნდა შედგეს შესაბამისი აქტი ერთეულის ღირებულების მინიშნებით.

3.14.. დაკარგული ან დაზიანებული ერთეულის ღირებულება განისაზღვრება საბაზრო ფასით და დაემატება, ბიბლიოთეკის გამგის მიერ რექტორთან შეთანხმებით, დადგენილი ფინანსური სანქცია, მაგრამ არა უმეტეს ამ ერთეულის ღირებულების 100%-ისა.

3.15. ერთეულის დაკარგვის შემთხვევაში მკითხველს შეუძლია წარმოადგინოს იგივე დასახელების და გამოცემის წლის შესაბამისი ან სანაცვლოდ, სხვა დასახელების ერთეული - თუ ამის შესახებ ბიბლიოთეკის მენეჯმენტი თანხმობას განაცხადებს. სხვა შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისი აქტით დაფიქსირებული ღირებულება.

3.16. სამკითხველო დარბაზში დაუშვებელია:

ა. ხმამაღალი საუბარი,

ბ. მკვეთრი/უხეში მოძრაობა

გ. ალკოჰოლის, ან ნარკოტიკული საშუალების გამოყენება,

3.17. ბიბლიოთეკაში შემოსვლისთანავე მკითხველი ვალდებულია: გადაიყვანოს მობილური ტელეფონი უხმო რეჟიმზე; დაიცვას სიჩუმე; ჯგუფური მუშაობისას არ შეუშალოს ხელი სხვა მკითხველს;

3.18. ბიბლიოთეკაში ნებადართულია მხოლოდ ბოთლში ჩამოსხმული წყლის და სხვა მინერალური სასმელების ქონა;.

3.19. დარბაზიდან ერთეულის გატანა, ბიბლიოთეკის თანამშრომელთან რეგისტრაციის გარეშე, განიხილება როგორც ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის დარღვევა და საკითხი განსახილველად გადაეცემა სტუდენტთა სადისციპლინო კომისიას.

3.20. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, რომელიც ჩართულია საუნივერსიტეტო ქსელსა და ინტერნეტში.

3.21. კომპიუტერით სარგებლობის შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია დაიცვას კომპიუტერის მოხმარების წესი.

3.22. საბიბლიოთეკო სივრცეში არსებულ კომპიუტერებში განთავსებულია საერთაშორისო ელექტრონული, სამეცნიერო ბაზები, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისატვის.

3.23. კომპიუტერთან მუშაობისას დაშვებულია:

- ტექსტების შეყვანა და რედაქტირება (ბიბლიოთეკის თანამშრომელთან შეთანხმებით);
- ინტერნეტით მასალების მოძიება და გადმოწერა
- ლიტერატურის ელექტრონული ვერსიებით მუშაობა
- საკუთარი CD დისკების გამოყენება დასაშვებია ბიბლიოთეკართან
- შეთანხმებით (ვირუსისგან დაზღვევის მიზნით);
- ელექტრონული ფოსტით სარგებლობა;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდით სარგებლობა.

3.24. კომპიუტერთან მუშაობისას დაუშვებელია:

- არასაგანმანათლებლო დანიშნულების საიტებით სარგებლობა;
- სოციალური ქსელით სარგებლობა
- ელექტრონული მასალის დაზიანება/წაშლა
- ბიბლიოთეკის თანამშრომლის ნებართვის გარეშე მასალის დამატება გაზიარება/გადაზგავნა

თავი IV. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების წესი

4.1. ეთიკის ნორმების დარღვევისათვის ამ თავის 2.5 პუნქტითა და მე–4 თავით გათვალისწინებულ შემთხვევებში დამრღვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად შეეფარდება:

ა) აკადემიური თაღლითობისათვის - წერილობითი ნაშრომის შეფასების გაუქმება და საუნივერსიტეტო სტიპენდიის გადახდის შეწყვეტა ერთი წლით, ერთი წლის განმავლობაში იგივე ქმედების გამეორების შემთხვევაში - წერილობითი ნაშრომის შეფასების გაუქმება, საუნივერსიტეტო სტიპენდიის გადახდის საბოლოოდ შეწყვეტა და სტუდენტის სტატუსის შეჩერება დარღვევის მომდევნო სემესტრის დამთავრებამდე;

ბ) პლაგიატისათვის - წერილობითი გაფრთხილება რექტორის მიერ პლაგიატის პირველ შემთხვევაში, თუ იგი არცოდნითაა გამოწვეული, ნამუშევრისშეფასების გაუქმება პლაგიატის პირველ შემთხვევაში, რომელიც არაა გამოწვეული არცოდნით და საუნივერსიტეტო სტიპენდიის გადახდის შეწყვეტა ერთი წლით, იგივე ქმედების გამეორების შემთხვევაში - ნაშრომის შეფასების გაუქმება, საუნივერსიტეტო სტიპენდიის გადახდის საბოლოოდ შეწყვეტა და სტუდენტის სტატუსის შეჩერება დარღვევის მომდევნო სემესტრის დამთავრებამდე;

გ) სხვასტუდენტისათვი სხელის შეშლას წავლისა და კვლევისპროცესში- სტუდენტის სტატუსის შეჩერება ერთი ან 2 წლით და საუნივერსიტეტო სტიპენდიის გადახდის შეწყვეტა პირველ შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - გამეორების შემთხვევაში;

დ) სხვა სტუდენტისათვის აკადემიური თაღლითობის ჩადენაში ხელის შეწყობა - რექტორის წერილობითი გაფრთხილება პირველ შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეჩერება დარღვევის მომდევნო სემესტრის დასრულებამდე და სტიპენდიის გადახდის შეწყვეტა - გამეორების შემთხვევაში პირველი დარღვევიდან ერთი წლის განმავლობაში;

ე) კვლევითი სამუშაოების მონაცემებისა და შედეგების გაყალბება - რექტორის წერილობითი გაფრთხილება და ნაშრომის შეფასების გაუქმება პირველ შემთხვევაში, ნაშრომის შეფასების გაუქმება, სტუდენტის სტატუსის შეჩერება ერთი წლით და სტიპენდიის გადახდის შეწყვეტა - გამეორების შემთხვევაში;

ვ)ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად გასაღება - ნაშრომის შეფასების გაუქმება და სტიპენდიის გადახდის შეწყვეტა;

ზ)სხვა პირთან გარიგება იდენტობის გაყალბების საშუალებით გამოცდის ჩაბარების მიზნით - სტუდენტის სტატუსის შეჩერება 2 წლით და სტიპენდიის გადახდის შეწყვეტა - პირველ შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - გამეორების შემთხვევაში;

თ) საგამოცდო მასალების, მათ შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება, გავრცელება, ასევეჩაბარებულიწერილობითინამუშევრისუნებართვოდჩანაცვლება - სტუდენტის სტატუსის შეჩერება ერთი წლით და სტიპენდიის გადახდის შეწყვეტა - პირველ შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - გამეორების შემთხვევაში;

ი) სტუდენტის აკადემიური და ადმინისტრაციული საუნივერსიტეტო მონაცემების გაყალბებაან/და გაყალბებული მონაცემების გამოყენება - რექტორის წერილობითი გაფრთხილება და ნაშრომის შეფასების გაუქმება პირველ შემთხვევაში, ნაშრომის შეფასების გაუქმება, სტუდენტის სტატუსის შეჩერება ერთი წლით და სტიპენდიის გადახდის შეწყვეტა - გამეორების შემთხვევაში;

კ)ლექტორზე, გამომცდელზე, უნივერსიტეტის თანამშრომელზე ზეწოლა შეფასების მიღებისმიზნით - სტუდენტის სტატუსის შეჩერება ერთი წლით და სტიპენდიის გადახდის შეწყვეტა - პირველ შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - გამეორების შემთხვევაში;

ლ)უნივერსიტეტში წარსადგენი დოკუმენტის გაყალბება ან დოკუმენტების არასრულად წარდგენა - რექტორის წერილობითი გაფრთხილება და ნაშრომის შეფასების გაუქმება პირველ შემთხვევაში, ნაშრომის შეფასების გაუქმება, სტუდენტის სტატუსის შეჩერება ერთი წლით და სტიპენდიის გადახდის შეწყვეტა - გამეორების შემთხვევაში;

მ) ხელის შეშლა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერება ქმედების მომდევნო სემესტრის დამთავრებამდე და სტიპენდიის გადახდის შეწყვეტა - პირველ შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - გამეორების შემთხვევაში;

ნ) თამბაქოს მოწევა უნივერსიტეტის შენობაში ან საამისოდ ნებადართული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ - რექტორის წერილობითი გაფრთხილება პირველ შემთხვევაში, სტუდენტის

სტატუსის შეჩერება შემთხვევის მომდევნო სემესტრის დაწყებამდე და სტიპენდიის გადახდის შეწყვეტა - გამეორების შემთხვევაში;

ო) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ალკოჰოლური სასმელების შეტანა, გავრცელებაან/დამოხმარება, თუ ღონისძიება სპეციალურად არარის ორგანიზებული ან ნებადართული რექტორის მიერ - რექტორის წერილობითი გაფრთხილება პირველ შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეჩერება შემთხვევის მომდევნო სემესტრის დაწყებამდე და სტიპენდიის გადახდის შეწყვეტა - გამეორების შემთხვევაში;

პ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე აზარტული თამაშების ორგანიზება და/ან მათში მონაწილეობა - რექტორის წერილობითი გაფრთხილება პირველ შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეჩერება შემთხვევის მომდევნო სემესტრის დაწყებამდე და სტიპენდიის გადახდის შეწყვეტა - გამეორების შემთხვევაში;

ჟ) უნივერსიტეტის ქონების დაკარგვა ან/და დაზიანება - რექტორის წერილობითი გაფრთხილება ან სტუდენტის სტატუსის შეჩერება და სტიპენდიის გადახდის შეწყვეტა ქმედების მომდევნო სემესტრის დაწყებამდე - პირველ შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეჩერება 2 წლით ან სტატუსის შეწყვეტა - გამეორების შემთხვევაში;

რ) უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება - რექტორის წერილობითი გაფრთხილება პირველ შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეჩერება შემთხვევის მომდევნო სემესტრის დაწყებამდე და სტიპენდიის გადახდის შეწყვეტა - გამეორების შემთხვევაში;

ს) ბილწსიტყვაობა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე - რექტორის წერილობითი გაფრთხილება და სტიპენდიის გადახდის შეწყვეტა პირველ შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეჩერება შემთხვევის მომდევნო სემესტრის დაწყებამდე - გამეორების შემთხვევაში;

ტ) სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა პირისათვის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე - სტუდენტის სტატუსის შეჩერება შემთხვევის მომდევნო სემესტრის დამთავრებამდე და სტიპენდიის გადახდის შეწყვეტა - პირველ შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - გამეორების შემთხვევაში;

უ) სხვა პირის მიმართ ძალადობა ან მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება - სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

ფ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების შეტანა - სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

ქ) ნარკოტიკულიან/დაფსიქოტროპული საშუალებების გავრცელება ან/და გამოყენება - სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

ღ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით აკრძალული ცეცხლსასროლი/ცივი იარაღის შეტანა, გამოყენება, სხვისთვის გადაცემა - სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

ყ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შეტანა, გამოყენება, გავრცელება ან სხვისთვის გადაცემა, რომლებიც ხანძრის ან/და აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის - სტუდენტის სტატუსის შეჩერება 2 წლამდე ვადით და სტიპენდიის გადახდის შეწყვეტა - პირველ შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - გამეორების შემთხვევაში;

შ) სხვა პირზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, მუქარა, დაშინება ან მორალური ზემოქმედება - სტუდენტის სტატუსის შეჩერება ერთი წლით და სტიპენდიის გადახდის შეწყვეტა - პირველ შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - გამეორების შემთხვევაში;

ჩ) სხვა პირის დისკრიმინაცია - სტუდენტის სტატუსის შეჩერება 2 წლით და სტიპენდიის გადახდის შეწყვეტა - პირველ შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - გამეორების შემთხვევაში;

ც) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სხვა პირის საკუთრების ხელყოფა, დაზიანება ან განადგურება - სტუდენტის სტატუსის შეჩერება 2 წლამდე ვადით და სტიპენდიის გადახდის შეწყვეტა - პირველ შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - გამეორების შემთხვევაში.

ძ) სხვა სტუდენტის საკუთრების უფლების რაიმე სახით შეზღუდვა - სტუდენტის სტატუსის შეჩერება 2 წლამდე ვადით და სტიპენდიის გადახდის შეწყვეტა - პირველ შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - გამეორების შემთხვევაში.

თავი V. პლაგიატი. დისციპლინური წარმოების თავისებურება პლაგიატის ფაქტთან დაკავშირებით

5.1.პლაგიატთან ბრძოლა მიზნად ისახავს, ერთის მხრივ, სხვისი აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი ან შემოქმედებითი ნამუშევრის გამოყენებას ავტორის მითითებისა და არსებული წესების დაცვის საფუძველზე, ხოლო, მეორეს მხრივ, სტუდენტთა უფლებების დაცვას მათი ნაშრომის შემდგომი გამოყენების დროს.

5.2. პლაგიატის ფაქტების აღმოფხვრის მიზნით უნივერსიტეტი ვალდებულია, უზრუნველყოს სტუდენტებისა და თანამშრომლების მუდმივი ინფორმირება პლაგიატთან ბრძოლის პოლიტიკის შესახებ, კერძოდ:

ა) განათავსოს და პერიოდულად განაახლოს ინფორმაცია პლაგიატთან დაკავშირებულ საკითხებზე საკუთარ ვებ-გვერდზე;

ბ) პერიოდულად ჩაატაროს სწავლების განმახორციელებელ პირთათვის ტრენინგები და სემინარები პლაგიატთან დაკავშირებულ საკითხებზე;

გ) პერიოდულად ჩაატაროს კვლევები პლაგიატის ფაქტების არსებობაზე თანამშრომელთა და სტუდენტთა ნაშრომებში, შესაბამისი მონაცემების ანალიზის საფუძველზე, მოახდინოს რეაგირება და არსებული რეგულაციების ადაპტირება ან ახლის დანერგვა;

5.3.უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტის საავტორო უფლებების დაცვას მის ნაშრომთან დაკავშირებით. თუ უნივერსიტეტი აპირებს სტუდენტის ნაშრომის გამოყენებას სხვა მიზნებისთვის, გარდა მისი სწავლებისა და თუ სტუდენტს ამ ნაშრომზე აქვს საავტორო უფლებები, მას უნდა ეცნობოს ნაშრომის გამოყენების შესახებ და მხოლოდ მისი თანხმობით იქნება ნაშრომი ხელმისაწვდომი სხვისთვის.

5.4. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მიხედვითდაშვებულია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე, მაგრამ გამოყენებული ნაწარმოების ავტორისა და დასეს-ხების წყაროს აუცილებელი მითითებით შემდეგ შემთხვევებში:

ა) მართლზომიერად გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ნაწარმოებებიდან ციტირება სამეცნიერო, კვლევითი, პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია ციტირების მიზნით, გაზეთებიდან და ჟურნალებიდან მოკლე ნაწყვეტების ბეჭდვითი მიმოხილვისათვის რეპროდუცირების ჩათვლით;

ბ) მართლზომიერად გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ნაწარმოებებიდან მოკლე ნაწყვეტების გამოყენება ილუსტრაციის სახით,

გამოცემებში, რადიო და ტელეგადაცემებში, სასწავლო ხასიათის ფონო და ვიდეოჩანაწერებში, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც განსაზღვრულია დასახული მიზნით;

გ) მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ საკითხებზე პერიოდული გამოცემების მეშვეობით მართლზომიერად გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი სტატიების ან საჯაროდ გადაცემული მსგავსი შინაარსის ნაწარმოებების რეპროდუცირება ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით ან საჯარო გადაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა სპეციალურად არ არის აკრძალული ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის მიერ. ამასთან, ავტორს უნარჩუნდება ასეთი ნაწარმოების კრებულში გამოცემის უფლება;

დ) მიმდინარე მოვლენების პროცესში დანახული ან მოსმენილი ნაწარმოების რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა მიმდინარე მოვლენათა მიმოხილვაში ფოტოგრაფირების, ეთერში ან კაბელით გადაცემის გზით, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია საინფორმაციო მიზნით;

ე) საჯაროდ წარმოთქმული პოლიტიკური მოხსენების, სიტყვის, ლექციის, მიმართვის, ქადაგების და მსგავსი ნაწარმოებების, მათ შორის, სასამართლო პროცესებზე წარმოთქმული სიტყვების რეპროდუცირება ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა პერიოდული გამოცემების მეშვეობით ან საჯარო გადაცემა, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია საინფორმაციო მიზნით. ამასთან, ავტორს უნარჩუნდება ასეთ ნაწარმოებთა ცალკე კრებულად ან წიგნად გამოცემის განსაკუთრებული უფლება;

ვ) მართლზომიერად გამოქვეყნებული, რელიეფური წერტილოვანი შრიფტით ან სხვა სპეციალური საშუალებით უსინათლოთათვის შექმნილი ნაწარმოების რეპროდუცირება მოგების მიღების მიზნის გარეშე, გარდა იმ ნაწარმოებებისა, რომლებიც სპეციალურად არის შექმნილი გამოყენების ასეთი საშუალებებისათვის.

5.5. პლაგიატის შემთხვევაში რექტორის ბრძანების გამოცემის საფუძველი სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყებაზე შეიძლება იყოს შეტყობინება პლაგიატის შესახებ სტუდენტის წერით ნაშრომში:

ა) პირისაგან, რომლის საავტორო უფლებაც დაირღვა/შეილახა პლაგიატის ფაქტით;

ბ) გამომცემლობისაგან/რედაქციისაგან, რომელმაც გამოაქვეყნა ან გამოსაქვეყნებლად გაეგზავნა სტუდენტის ნაშრომი;

გ) ადმინისტრაციული ორგანოს ან სხვა კომპეტენტური დაწესებულების, მათ შორის ბიბლიოთეკის, სამეცნიერო, საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან;

დ) უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების კომპონენტების სწავლის შედეგების შემფასებელი იმ პირის/კომისიის წევრისაგან, რომელმაც შეაფასა/უნდა შეეფასებინა წერითი ნაშრომი;

ე) სამაგისტრო ან სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტისაგან;

ვ) სწავლების განმახორციელებელი პირისაგან, ვისაც ევალება ნაშრომის შემოწმება.

5.6. რექტორი, ბრძანებით დისციპლინური წარმოების დაწყებაზე პლაგიატის გამო, ნიშნავს პლაგიატის ფაქტის დამდგენ კომისიას არანაკლებ 3 წევრის შემდგენლობით. კომისიის წევრებად ინიშნებიან უნივერსიტეტის შესაბამისი კომპეტენციების და გამოცდილების მქონე თანამშრომლები. გარეშე პირი კომისიის წევრად შეიძლება მოწვეულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტის თანამშრომლებით, მათი კომპეტენციებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, კომისიის სრულად დაკომპლექტება შეუძლებელია.

5.7. პლაგიატის ფაქტის დამდგენი კომისია ადგენს პლაგიატის ფაქტს ან უარყოფს მის არსებობას რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში, მხოლოდ წერითი ნაშრომისა და ამ თავის

5.5 პუნქტში მითითებული შეტყობინების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე. წერითი ნაშრომის კომისიისათვის გადაცემაზე პასუხისმგებელი პირი განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

5.8. კომისია გადაწყვეტილებებს იღებს თავის სხდომებზე კომისიის წევრების ხმათა უმრავლესობით. გადაწყვეტილებები ფორმდება სხდომათა ოქმების სახით. სხდომის ოქმს აწარმოებს კომისიის თავჯდომარე, რომელსაც თავიანთი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის წევრები. ოქმს ხელს აწერს კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი.

6.9. კომისიის თავმჯდომარე, კომისიის საქმიანობის დასრულებისთანავე, სხდოათა ოქმებს და კომისიის სხვა დოკუმენტებს წარუდგენს რექტორს, რომელიც გადასცემს მათ სტუდენტთა სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარეს (ფაკულტეტის დეკანს).

5.10. პლაგიატის ფაქტის დამდგენი კომისიის სხდომის ოქმები და სხვა დოკუმენტები ინახება სტუდენტთა სადისციპლინო კომისიის შესაბამის საქმეში.

5.11. პლაგიატის ფაქტის დამდგენი კომისიის საქმიანობის დასრულების შემდეგ, თუ კომისია დაადგენს პლაგიატის ფაქტის არსებობას, დისციპლინურ წარმოებას აგრძელებს სტუდენტთა სადისციპლინო კომისია ამ კოდექსის დადგენილი წესით.

5.12. თუ პლაგიატის ფაქტის დამდგენი კომისია არ დაადასტურებს პლაგიატის ფაქტის არსებობას, დისციპლნური წარმოება წყდება რექტორის ბრძანებით.

თავი VI. დისციპლინური სახდელის განსაზღვრის მნიშვნელოვანი საკითხები

6.1 დისციპლინური სახდელის განსაზღვრისას შეძლებისდაგვარად მხედველობაში მიიღება შემდეგი გარემოებები:

6.1.1. ქმედების სიმძიმე/ხარისხი;

6.1.2 ქმედების ჩადენის მომენტში სტუდენტის განზრახვა;

6.1.3. დისციპლინური გადაცდომის განმეორებითი ჩადენის ფაქტის არსებობა;

6.1.4. სტუდენტის ზოგადი დახასიათება (პიროვნული, აკადემიური);

6.1.5. სტუდენტის მიერ გამოთქმული პოზიცია დისციპლინური გადაცდომის თაობაზე.

6.2. რეგისტრაციის დროს სტუდენტის მიერ დაფიქსირებული მობილური ტელეფონის ნომერი, საფოსტო მისამართი/ელექტრონული ფოსტა ჩაითვლება სტუდენტის ოფიციალურ საკონტაქტო ინფორმაციად და აღნიშნულ მისამართ(ებ)ზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება სტუდენტისათვის გაგზავნილ შეტყობინებად.

6.3. სტუდენტს ეკისრება პასუხსმგებლობა მის მიერ მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის სიზუსტეზე. თუ სტუდენტის მიერ მითითებულია არასწორი/არაზუსტი ინფორმაცია, აღნიშნული არ იწვევს უნივერსიტეტის პასუხისმგებლობას შეტყობინების არასწორ/არაზუსტ მისამართზე გაგზავნის შესახებ.

6.4. დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებული მასალები წარმოების მიმდინარეობისას ინახება უფლებამოსილ პირთან. დისციპლინური დევნის საფუძველზე, სტუდენტისათვის შესაბამისი დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში, მასალები ეგზავნება სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახურს.

6.5.დისციპლინარული წარმოების ნებისმიერ ეტაპზე დაცული უნდა იყოს კონფიდენციალურობა.

უნივერსიტეტის თანამშრომლის მხრიდან კონფიდენციალურობის დარღვევის შემთხვევაში დგება მისი პასუხისმგებლობის საკითხი.

6.6. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე თამბაქოს ნაწარმის მოხმარების აკრძალვასთან დაკავშირებული წესის დარღვევის შემთხვევაში, უნივერსიტეტის დაცვის სამსახურის წარმომადგენელი უფლებამოსილია სტუდენტს მისცეს წერილობითი გაფრთხილება - თამბაქოს მოხმარების წესის დარღვევისა და მოსალოდნელი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ.

თავიVII. დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე კოდექსი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტებთან ერთად, შემადგენელი ნაწილია უნივერსიტეტის ყველა სტუდენტთან და მსმენელთან დადებული სწავლება-სწავლის ხელშეკრულებისა, რაც უნდა აღინიშნოს ხელშეკრულებაში.

7.2. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კოდექსისა და მისი ყველა ცვლილების საჯაროობას. ამ მიზნით კოდექსის ტექსტი მუდმივადაა გამოქვეყნებული უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

7.3. კოდექსის ცვლილებათა პროექტს ამზადებს რექტორი საკუთარი, ფაკულტეტის საბჭოს, სტუდენტური თვითმმართველობის, ან სტუდენტთა, სულ ცოტა, 25 კაციანი ჯგუფის ინიციატივით.

7.4. კოდექსის ცვლილებათა პროექტი, აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენამდე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჯაროდ განხილვისათვის, სულ ცოტა, 1 თვის განმავლობაში. ამ მიზნით განცხადება კოდექსის ცვლილებათა პროექტის მზადებაზე და პროექტის ტექსტი ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და თვალსაჩინო ადგილზე უნივერსიტეტის შენობაში.

7.5.კოდექსის ცვლილებათა ტექსტი, აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცების მომდევნო დღეს, უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე.

7.6. კოდექსის ცვლილება ძალაში შედის აკადემიური საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

7.7. უნივერსიტეტი ვალდებულია, სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ ვადაში, შეისყიდოს და აამოქმედოს პლაგიატის ამომცნობი კომპიუტერული პროგრამა.

7.8. წინამდებარე დებულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს რექტორი.